სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
2014 წლის 12 ივნისის № GOG/CON/C/538/01
ხელშეკრულების დანართი

დამატება №1
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2014 წლის 12 ივნისის № GOG/CON/C/538/01 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი „4“ დეკემბერი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ბ-ნი ტარიელ გუგავას სახით და მეორეს მხრივ, შპს საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნი ტალი ტალიაშვილის სახით,

ვითვალისწინებთ რა, სსიპ საქართველოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსის ბ-ნი პაატა იაკობაშვილის 2014 წლის 02 დეკემრის N4880-მ მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილ გარემოებას, რომ შეეხება 2014 წლის 12 ივნისის № GOG/CON/C/538/01 ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) VIII. თავით გათვალისწინებული პროექტირების მომსახურეობის გრაფიკისა და ანგარიშების წარმოდგენის ვადების ცვლილებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

2014 წლის 12 ივნისის № GOG/CON/C/538/01 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების დანართის N1 (ტექნიკური დავალება) მე-VIII თავში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„VIII. პროექტირების მომსახურეობის გრაფიკი, ანგარიშების წარმოდგენის ვადები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია:

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომისთანავე, დაიწყოს მომსახურების განხორციელება, რისთვისაც:

– არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგინოს შემსყიდველს მომსახურების დაზუსტებული სამუშაო გრაფიკი;

– 2014 წლის 17 ივლისიდან 83 დღეში წარმოადგინოს შესრულებული საველე-კვლევითი სამუშაოები და წინასწარი ტექნიკური გადაწყვეტილებები შემსყიდველთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად;

– 2014 წლის 17 ივლისიდან 143 დღეში წარმოადგინოს დეტალური პროექტის წინასწარი ვერსია შესათანხმებლად და განსახილველად;

- შემსყიდველი დეტალური პროექტის წინასწარი ვერსიას, ჩაუტარებს ექსპერტიზას მისი წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში;

_ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში წარმოადგინოს საბოლოო დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიში;

შემსყიდველი წარმოდგენილ ანგარიშებს განიხილავს ეტაპების შესაბამისად, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მომსახურების ხანგრძლივობა (შემსყიდველის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შენიშვნებზე პასუხის მომზდების და პროექტის კორექტირების ჩათვლით) შეადგენს სავარაუდოდ 163 დღეს 2014 წლის 17 ივლისიდან;

საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს მშენებლობის სრულ და დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციას, ხარჯთაღრიცხვას და სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს;

ანგარიშების რაოდენობა შესრულებული ქართულ ენაზე უნდა იყოს – 6 ეგზემპლიარი + ელ. ვერსია – 2 CD

მიმწოდებელმა (კონსულტანი) უნდა გაითვალისწინოს, რომ ანგარიშები (ასევე ელექტრონული ვერსიები). წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადებში, რისთვისაც მიმწოდებელმა (კონსულტანტი) წინასწარ უნდა იზრუნოს."

2. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელად.

3. წინამდებარე დამატება წარმოადგენს 2014 წლის 12 ივნისის № GOG/CON/C/538/01 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იგი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შპს საპროექტო-საკვლევამიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი"
_____	_____
ტარიელ გუგავა აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი	ტალი ტალიაშვილი გენერალური დირექტორი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის

მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ტარიელ გუგავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ტარიელ,

მოგახსენებთ, რომ შპს ტრანსპორექტმა, რომელიც 2014 წლის 12 ივნისს გაფორმებული N GOG/CON/C/538/01 ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეგენის მომსახურებას, 2014 წლის 14 ნოემბრის N პრ 01-09/250 წერილით რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო ითხოვა დეტალური პროექტის წინასწარი ვერსიის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 190 დღე, ხოლო დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 210 დღე.

პროექტების შეფასების სამსახურის მიერ 2014 წლის 12 ივნისს გაფორმებული N GOG/CON/C/538/01 ხელშეკრულებისა და შპს ტრანსპროექტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე კონტრაქტორმა მომსახურების მიწოდება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომისთანავე, რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იყოს მომსახურების დაზუსტებული სამუშაო გრაფიკი. შპს ტრასპროექტის მიერ 2014 წლის 18 ივლისის N პრ 01-09/157 წერილით ფონდში წარმოდგენილი იქნა შეტყობინება, რომ შპს ტრანსპროექტმა საველე-კვლევითი სამუშაოები დაიწყო 2014 წლის 17 ივლისს, ვინაიდან 17 ივლისამდე არსებული მეტეოროლოგიური პირობის გამო სამუშაოების დაწყება შეუძლებელი იყო, რაც დადასტურებულია შპს ტრანსპროექტის 2014 წლის 14 ნოემბრის Nპრ 01-09/250 წერილით წარმოდგენილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 06 ოქტომბერს გაცემული N1211-417 ცნობით 2014 წლის 01 ივნისიდან 2014 წლის 09 სექტემბრის ჩათვლით ნალექიანი ამინდების შესახებ. ამასთანავე, შპს ტრანსპროექტმა 2014 წლის 29 ივლისის Nპრ 01-09/173 და 2014 წლის 08 აგვისტოს Nპრ 01-09/182 წერილებით შეგვატყობინა რომ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო ფერხდებოდა საველე-საძიებო სამუშაოების წარმოება და მოთხოვნილი იქნა მომსახურების მიწოდების გრაფიკის ცვლილება.

ასევე აღსანიშნვია, რომ შპს ტრანსპროექტს საველე-საძიებო სამუშაოების ჩატარებისას შეფერხება ქონდა 2014 წლის 17 ივლისის შემდგომაც 2014 წლის 09 სექტემბრამდე, რაც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 06 ოქტომბერს გაცემული N1211-417 ცნობის თანახმად შეადგენს 23 დღეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება ხელშერკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ეტაპების ვადის ათვლა დაიწყოს 2014 წლის 17 ივლისიდან, ასევე ზემოაღნიშნული შეფერხების ფაქტის გათვალისწინებით მომსახურების მიწოდების ცალკეულ ეტაპებს დაემატოს 23 დღე და ხელშეკრულების დანართის N1 VIII თავით გათვალისწინებული პროექტირების მომსახურეობის გრაფიკი, ანგარიშების წარმოდგენის ვადები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

VIII. პროექტირების მომსახურეობის გრაფიკი,
ანგარიშების წარმოდგენის ვადები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია:

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომისთანავე, დაიწყოს მომსახურების განხორციელება, რისთვისაც:

_ არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგინოს შემსყიდველს მომსახურების დაზუსტებული სამუშაო გრაფიკი;

_ 2014 წლის 17 ივლისიდან 83 დღეში წარმოადგინოს შესრულებული საველე-კვლევითი სამუშაოები და წინასწარი ტექნიკური გადაწყვეტილებები შემსყიდველთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად;

_ 2014 წლის 17 ივლისიდან 143 დღეში წარმოადგინოს დეტალური პროექტის წინასწარი ვერსია შესათანხმებლად და განსახილველად;

- შემსყიდველი დეტალური პროექტის წინასწარი ვერსიას, ჩაუტარებს ექსპერტიზას მისი წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში;

_ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში წარმოადგინოს საბოლოო დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიში;

შემსყიდველი წარმოდგენილ ანგარიშებს განიხილავს ეტაპების შესაბამისად, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მომსახურების ხანგრძლივობა (შემსყიდველის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შენიშვნებზე პასუხის მომზდების და პროექტის კორექტირების ჩათვლით) შეადგენს სავარაუდოდ 163 დღეს 2014 წლის 17 ივლისიდან;

საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს მშენებლობის სრულ და დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციას, ხარჯთაღრიცხვას და სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს;

ანგარიშების რაოდენობა შესრულებული ქართულ ენაზე უნდა იყოს _ 6 ეგზემპლიარი + ელ. ვერსია _ 2 CD

მიმწოდებელმა (კონსულტანი) უნდა გაითვალისწინოს, რომ ანგარიშები (ასევე ელექტრონული ვერსიები). წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადებში, რისთვისაც მიმწოდებელმა (კონსულტანტი) წინასწარ უნდა იზრუნოს.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

პატივისცემით

პაატა იაკობაშვილი

სამსახურის უფროსი

პროექტების შეფასების სამსახური